

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №01
2015 წლის 30 იანვარი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში (სსმ 01.01.2015 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულხან ოქროპირიძე

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

(ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	24,918,286	23,361,770	1,556,516	29,658,989	28,255,731	1,403,258	24,996,000	24,996,000	0
გადასახადები	1,199,956	1,199,956		1,099,500	1,099,500	-	1,000,000	1,000,000	-
გრანტები	21,897,784	20,341,268	1,556,516	27,266,569	25,863,311	1,403,258	22,198,700	22,198,700	0
სხვა შემოსავლები	1,820,546	1,820,546		1,292,920	1,292,920	-	1,797,300	1,797,300	-
ხარჯები	12,114,222	11,931,371	182,851	16,650,067	16,650,067	0	11,675,934	11,675,934	0
შრომის ანაზღაურება	2520472	2,520,472	-	2,647,524	2,647,524	0	2,062,680	2,062,680	0



საქონელი და მომსახურება	2709711	2,709,711	-	2,834,816	2,834,816	0	2,933,054	2,933,054	0
პროცენტი	447389	447,389	-	456,910	456,910	0	418,132	418,132	0
სუბსიდიები	4240664	4,185,813	54851	5,993,848	5,993,848	0	5,656,080	5,656,080	0
გრანტები	66,532	66,532	-	37,640	37,640	0	-	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1752839	1,624,839	128000	3,183,693	3,183,693	0	506,036	506,036	0
სხვა ხარჯები	376615	376,615	-	1,495,636	1,495,636	0	99,952	99,952	0
საოპერაციო სალდო	12,804,064	11,430,399	1,373,665	13,008,922	11,605,664	1,403,258	13,320,066	13,320,066	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,929,032	4,427,367	1,501,665	18,634,963	17,231,705	1,403,258	20,920,374	20,920,374	0
ზრდა	6,023,256	4,521,591	1,501,665	18,634,963	17,231,705	1,403,258	20,920,374	20,920,374	0
კლება	94,224	94,224		-			-		
მთლიანი სალდო	6,875,032	7,003,032	-128,000	-5,626,041	-5,626,041	0	-7,600,308	-7,600,308	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	6,601,028	6,729,028	-128,000	-6,219,211	-6,219,211	0	-8,232,256	-8,232,256	0
ზრდა	6,729,028	6,729,028	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა, დეპოზიტები	6,729,028	6,729,028		-			-		
კლება	128,000	-	128,000	6,219,211	6,219,211	-	8,232,256	8,232,256	-
ვალუტა, დეპოზიტები	128,000		128,000	6,219,211	6,219,211		8,232,256	8,232,256	
ვალდებულებების ცვლილება	-274,004	-274,004	0	-593,170	-593,170	0	-631,948	-631,948	0
ზრდა	0			-			-		
კლება	274,004	274,004	0	593,170	593,170	0	631,948	631,948	0
ბალანსი	-	-	-	-	-	-	-	-	-

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის



ცვლილება:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	25012510	23455994	1556516	29658989	28255731	1403258	24996000	24996000	0
შემოსავლები	24,918,286	23,361,770	1,556,516	29,658,989	28,255,731	1,403,258	24,996,000	24,996,000	-
არაფინანსური აქტივების კლება	94,224	94,224	-	-	-	-	-	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	18411482	16726966	1684516	35878200	34474942	1403258	33228256	33,228,256	-
ხარჯები	12,114,222	11,931,371	182,851	16,650,067	16,650,067	-	11,675,934	11,675,934	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,023,256	4,521,591	1,501,665	18,634,963	17,231,705	1,403,258	20,920,374	20,920,374	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	274,004	274,004	-	593,170	593,170	-	631,948	631,948	-
ნაშთის ცვლილება	6601028	6729028	-128000	-6219211	-6219211	-	-8232256	-8232256	-

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 24996000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან		საკუთარი შემოსავ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან		საკუთარი შემოსავ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან



		ლემი	გამოყოფილი ტრანსფერები		ლემი	გამოყოფილი ტრანსფერები		ლემი	გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	24918286	23361770	1556516	29658989	28255731	1,403,258	24996000	24996000	-
გადასახადები	1,199,956	1,199,956	-	1,099,500	1,099,500	-	1,000,000	1,000,000	-
გრანტები	21,897,784	20,341,268	1,556,516	27,266,569	25,863,311	1,403,258	22,198,700	22,198,700	-
სხვაშემოსავლები	1,820,546	1,820,546	-	1,292,920	1,292,920	-	1,797,300	1,797,300	-

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1000000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
გადასახადები	1,199,956	1,099,500	1,000,000
ქონების გადასახადი	1,199,956	1,099,500	1,000,000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	692,613	700,500	645,500
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	71,679	40,500	30,500
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	83,721	44,000	40,000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	351,943	314,500	284,000

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 22198700 ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავ ლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავ ლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავ ლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	21897784	20341268	1556516	27266569	25863311	1,403,258	22198700	22198700	0
სხვა დონის სახელმწიფო ეროვნულიდან მიღებული გრანტები	21897784	20341268	1556516	27266569	25863311	1,403,258	7198700	7198700	-
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი	5,784,880	5,784,880		7,184,600	7,184,600		7,198,700	7,198,700	



გათანაბრებითი ტრანსფერი									
სპეციალური ტრანსფერი	16112904	14556388	1556516	20081969	18678711	1403258	0	0	0
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	208,549		208,549			1,403,258			
მ.შ. სხვა სპეციალური ტრანსფერი	1,347,967		1,347,967	-			-		
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	14,556,388	14,556,388		18,678,711	18,678,711		-		
კაპიტალური ტრანსფერი							15,000,000	15,000,000	
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი							15,000,000	15,000,000	

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1797300 ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1,820,546	1,292,920	1,797,300
შემოსავლები საკუთრებიდან	481,928	450,500	600,000
პროცენტები	279,178	270,500	400,000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	279,178	270,500	400,000
რენტა	202,750	180,000	200,000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	28,700	50,000	50,000
შემოსავალი მიწის იჯარიდან დამართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	174,050	130,000	150,000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	308,404	280,000	315,000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და	270,536	250,000	285,000



გადასახდელები			
სანებართვო მოსაკრებელი	55,478	30,000	35,000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	55,478	30,000	35,000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	170	-	-
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	3,374	-	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	211,514	220,000	250,000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	37,868	30,000	30,000
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	37,868	30,000	30,000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	850,796	442,420	750,300
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	179,418	120,000	132,000
მ/შორის შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან	179,418	120,000	132,000

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 11675934 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	12,114,222	11,931,371	182,851	11,077,552	11,077,552	0	11,675,934	11,675,934	0
შრომის ანაზღაურება	2,520,472	2,520,472	-	2,057,780	2,057,780	-	2,062,680	2,062,680	-



საქონელი და მომსახურება	2,709,711	2,709,711	-	2,734,924	2,734,924	-	2,933,054	2,933,054	-
პროცენტი	447,389	447,389	-	418,132	418,132	-	418,132	418,132	-
სუბსიდიები	4,240,664	4,185,813	54,851	5,234,020	5,234,020	-	5,656,080	5,656,080	-
გრანტები	66,532	66,532	-	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,752,839	1,624,839	128,000	506,036	506,036	-	506,036	506,036	-
სხვა ხარჯი	376,615	376,615	-	126,660	126,660	-	99,952	99,952	-

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 20920374 ლარის ოდენობით მათ შორის.

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 20920374 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით;

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	35,613	35,613	-	19,920	19,920	-	11,400	11,400	-
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	18,780	18,780	-	203,908	203,908	-	0	-	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4,917,295	3,415,630	1,501,665	10,989,367	9,586,109	1,403,258	14,689,950	14,689,950	-
განათლება	568,322	568,322	-	2,783,409	2,783,409	-	3,368,390	3,368,390	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	483,246	483,246	-	4,629,444	4,629,444	-	2,850,634	2,850,634	-
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და	-	-	-	8,915.00	8,915.00	-	-	-	-



სოციალური უზრუნველყოფა									
ჯამი	6,023,256	4,521,591	1,501,665	18,634,963	17,231,705	1,403,258	20,920,374	20,920,374	-

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით,

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	94,224	94,224	-	-	-	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	94,224	94,224	-	-	-	-	-	-	-

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 32,596,308 ლარი ფუნქციონალურ ჭრილში, თანადართული რედაქციით.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,039,232	3,039,232	0	2,968,509	2,968,509	0	2,569,701	2,569,701	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,167,000	2,167,000	0	2,445,513	2,445,513	0	2,135,649	2,135,649	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,028,138	2,028,138	0	2,170,688	2,170,688	0	1,914,560	1,914,560	0



70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	138,862	138,862	0	274,825	274,825	0	221,089	221,089	0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	803,832	803,832	0	472,910	472,910	0	434,052	434,052	0
7017	საერთო დანისწულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის	66,532	66,532	0	37,640	37,640	0	0	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1,868	1,868	0	12,446	12,446	0	0	0	0
702	თავდაცვა	121,505	121,505	0	136,730	136,730	0	111,620	111,620	0
7021	შეიარაღებული ძალები	121,505	121,505	0	136,730	136,730	0	111,620	111,620	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	567,619	567,619	0	790,605	790,605	0	653,400	653,400	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა									
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	567,619	567,619	0	790,605	790,605	0	653,400	653,400	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,737,063	2,455,365	281,698	6,324,391	6,324,391	0	5,405,241	5,405,241	0
7042	სოფლისმეურნეობა, სატყეო-მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,105,296	977,296	128,000	2,672,111	2,672,111	0	0	0	0
70421	სოფლის მეურნეობა	1,105,296	977,296	128,000	2,672,111	2,672,111	0	0	0	0
7045	ტრანსპორტი	1,488,029	1,334,331	153,698	3,473,230	3,473,230	0	5,214,281	5,214,281	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,488,029	1,334,331	153,698	3,473,230	3,473,230	0	5,214,281	5,214,281	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	143,738	143,738	0	179,050	179,050	0	190,960	190,960	0
705	გარემოს დაცვა	1,466,689	1,466,689	0	3,652,837	3,652,837	0	6,586,967	6,586,967	0
	ნარჩენების შეგროვება,									



7051	გადამუშავება და განადგურება	1,299,110	1,299,110	0	1,363,000	1,363,000	0	1,426,500	1,426,500	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	167,579	167,579	0	2,289,837	2,289,837	0	5,160,467	5,160,467	0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4,820,604	3,472,637	1,347,967	8,288,663	6,885,405	1,403,258	5,956,824	5,956,824	0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1,052,515	1,052,515	0	1,048,834	1,048,834	0	1,108,069	1,108,069	0
7063	წყალმომარაგება	1,345,124	1,345,124	0	4,497,541	4,497,541	0	3,717,062	3,717,062	0
7064	გარე განათება	538,530	538,530	0	656,400	656,400	0	737,400	737,400	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,884,435	536,468	1,347,967	2,085,888	682,630	1,403,258	394,293	394,293	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	167,139	167,139	0	182,129	182,129	0	241,960	241,960	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	167,139	167,139	0	182,129	182,129	0	241,960	241,960	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,261,467	2,261,467	0	7,373,026	7,373,026	0	4,545,659	4,545,659	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,335,401	1,335,401	0	4,162,623	4,162,623	0	3,244,144	3,244,144	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	833,869	833,869	0	3,093,559	3,093,559	0	1,188,725	1,188,725	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	11,669	11,669	0	15,000	15,000	0	0	0	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	80,528	80,528	0	101,844	101,844	0	112,790	112,790	0
709	განათლება	2,316,177	2,261,326	54,851	5,115,958	5,115,958	0	5,998,760	5,998,760	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,081,317	1,026,466	54,851	1,674,459	1,674,459	0	1,965,710	1,965,710	0
7092	ზოგადი განათლება	3,403	3,403	0	4,200	4,200	0	4,200	4,200	0



70923	საშუალო ზოგადი განათლება	3,403	3,403	0	4,200	4,200	0	4,200	4,200	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1,231,457	1,231,457	0	3,437,299	3,437,299	0	4,028,850	4,028,850	0
710	სოციალური დაცვა	639,983	639,983	0	452,182	452,182	0	526,176	526,176	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	142,775	142,775	0	174,150	174,150	0	192,752	192,752	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	497,208	497,208	0	278,032	278,032	0	333,424	333,424	0
	მთლიანი ხარჯები	18,137,478	16,452,962	1,684,516	35,285,030	33,881,772	1,403,258	32,596,308	32,596,308	0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო .

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 7,600,308 ლარის ოდენობით;

მუხლი 8. განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 8,232,256 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება.

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 631,948 ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული, კულტურული ღონისძიებები

სპორტულ, კულტურულ, პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

1.1 . სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის



მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

1.2. სახანძრო -სამაშველო სამსახური (პროგრამული კოდი 02 02)

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პროგრამა დააფინანსებს სამსახურის ხარჯებს 2015 წლის 10 იანვრამდე.

1.3. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 02 03)

ასიგნებები გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის ქუჩების მოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, უზრუნველყოფილი იქნება გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

2.1.1. ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩებისა და ტროტუარების რეაბილიტაციას იმ უბნებში სადაც ძირითადად მოწესრიგებული იქნება მიწის ქვეშა კომინიკაციები, კერძოდ ქალაქ ქობულეთში შოთა რუსთაველის ქუჩის მონაკვეთის (რკინიგზის სადგურიდან თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე) ტროტუარების მოწყობას, ქალაქ ქობულეთში ჭავჭავაძის უბნის (ჭავჭავაძის ქუჩის, ჭავჭავაძის პირველი შესახვევის, ჭავჭავაძის პირველი და მეორე ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას, ქალაქ ქობულეთში ჯავახიშვილის უბნის (ჯავახიშვილის ქუჩის, ჯავახიშვილის პირველი, მეორე, მესამე შესახვევის და რუსთაველის პირველი შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას, ქალაქ ქობულეთში გურამიშვილის ქუჩის (გურამიშვილის ქუჩის, რუსთაველის შესასვლელის გურამიშვილის ქუჩამდე საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას, ქალაქ ქობულეთში კომახიძის ქუჩის (კომახიძის ქუჩის, კომახიძის ქუჩისა და გოგებაშვილის ქუჩის შესასვლელის რუსთაველის ქუჩამდე საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას, ქალაქ ქობულეთში ლესელიძის ქუჩის (ლესელიძის ქუჩისა და ლესელიძის შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას და ქალაქ ქობულეთში არსებული ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

2.1.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი საგზაო ნიშნების, საგზაო შუქნიშნების მოწყობა- მონტაჟი, გზებისა და ქალაქის მანიშნებლების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2014 წლის გარდამავალ ღონისძიებებს, კერძოდ ქალაქ ქობულეთში საგზაო ნიშნების განთავსების, აგრეთვე ქალაქ ქობულეთში ციმციმების მოწყობის სამუშაოებს.

2.1.3. მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის ქვათაცვენის და ნაპირსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები) (პროგრამული კოდი 03 01 07)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ ლელვას №1 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის მოწესრიგების



2.1.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს “ქობულეთის ტრანსრეგულირების” მიერ.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოწესრიგდება სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები.

2.2.1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების გადახურვა/რეაბილიტაცია, კერძოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფლებში: კვირიკეში №5, №17, №18, №20, მუხაესტატეში (ყოფილი ჩაის ფაბრიკის და მუხაესტატეს მეურნეობის), ციხისძირის №4, №4ა, №10, №16, №22, №51, №52, ბობოყვათის №4 სახლის, აგრეთვე დაბა ოჩხამური-ცეცხლაურის (მათ შორის ოჩხამური ყაზბეგის №5, წერეთლის №14, აღმაშენებლის №18, №28, №45, №47, თამარ მეფის №1დ, №12, №16, აბუსელიძის №2, №4, ცეცხლაური №2, №4, №14, ჯიხანჯური №14, №12, №33, ჯიხანჯურში რუსთაველის №6, №30, №31, ოჩხამურში თამარ მეფის №8, №14, №18, დაბა ჩაქვში მდებარე აღმაშენებლის №2, აბაშიძის №14, თამარ მეფის №3, თბილისის №7, №9, ლესელიძის №6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, ქალაქ ქობულეთში აბაშიძის №7, თავისუფლების №75, ფიროსმანის №4 და პოპოვის №28-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. პროგრამა დაასრულებს 2014 წელში დაწყებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის გარდამავალ სამუშაოებსაც.

2.2.2. გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დაწერვა და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოფტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დაწერვა. პროგრამით შესაძლებელ იქნება ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირზე გარე განათებისათვის მზის ენერგიაზე მომუშავე ეკონომიური დანადგარის შეძენა. წლის განმავლობაში ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელისშეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის 4000-ზე მეტი წერტის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტრო ენერგიის ანაზღაურება. რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნებას.

2.2.3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა, მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. ნაგავსაყრელების მოვლა-დამუშავება.

2.2.4. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030204)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2015 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და მათ შორის მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის სამუშაოები რასაც ახორციელებს ა(ა)იპ „ქობულეთის გამწვანება“, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო



2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. შპს „ქობულეთის წყალი“ უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის დროულ და ხარისხიანად მიწოდებას, დაფინანსება ხდება სასმელი წყლის მიწოდებაზე დახარჯული ელექტრო ენერგიის ანაზღაურების მიზნით, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია

სოფელ სამების წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ ხუცუბნის წყლის სათავე ნაგებობის რეზერვუარისა და ქსელის რეაბილიტაცია, სოფელ აჭყვისთავის წლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ კვირიკეს წყალსადენის სათავე ნაგებობის, რეზერვუარების და ქსელის რეაბილიტაცია, ქალაქ ქობულეთში წყალსადენის სათავე ნაგებობაზე დამატებითი ჭაბურღილების მოწყობა. გარდა ამისა პროგრამით განხორციელდება დაბა ოჩხამურის წყლის სათავე ნაგებობის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები. პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალის სუბსიდირებას, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან დამოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების ცვლილებასთან. პროგრამით დასრულდება 2014 წელში დაწყებული წყლის სისტემის რეაბილიტაციის გარდამავალი სამუშაოები.

2.2.6. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში ნინოშვილის ქუჩის სასმელი წყლის სისტემების და ჯავახიშვილის უბნის (ჯავახიშვილის პირველი და მეორე შესახვევი, რუსთაველის პირველი შესახვევი) წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, გელაურის დასახლების კანალიზაციის სისტემის ქალაქ ქობულეთის ცენტრალურ სისტემაზე სატუმბო სადგურის გამოყენებით მიერთება, ქალაქ ქობულეთში გელაურის დასახლების (არხის მარჯვენა მხარე, კაიკაციშვილის, პუშკინის, აკ. წერეთლის, თხილაიშვილის, ვაჟა ფშაველას, კინტრიშის, ნ. ბარათაშვილის ქუჩებისა და ჰ. აბაშიძის და კაიკაციშვილის შესახვევების) კანალიზაციის სისტემისა და სატუმბო სადგურის მოწყობა, კარიერის დასახლების კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა. განხორციელდება ქ. ქობულეთში ჭავჭავაძის, ჭავჭავაძის პირველი შესახვევის, მე-2 შესახვევის, ლესელიძის შესახვევის, ნინოშვილის და გურამიშვილის ქუჩების კანალიზაციის სამუშაოები. პროგრამით გათვალისწინებულია სანიაღვრე სისტემის მიმდინარე ექსპლუატაცია, სანიაღვრე წყლების გზის სავალი ნაწილიდან მოშორება მათზე სისტემატიური კონტროლი და სრულყოფილი მონიტორინგის უზრუნველყოფა, აგრეთვე ქ. ქობულეთში არსებული დახურული და ღია სანიაღვრე არხების, სანიაღვრე ჭების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა. პროგრამით დასრულდება 2014 წლის გარდამავალი სამუშაოები.

2.2.7. უსახური შენობა ნაგებობების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის იერ-სახის შენარჩუნების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უსახური ნაგებობების და უკანონო მიშენებების დემონტაჟი.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები, სკვერებსა და პარკებში არსებული საჯდომების მიმდინარე შეკეთება-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

2.3.1. მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზის რემონტი/რეაბილიტაცია. პროგრამით დასრულდება 2014 წელში დაწყებული გარდამავალი სამუშაოებიც.

2.3.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რკინა-ბეტონის და ლითონის კონსტრუქციების (ღობეების) და სკვერებსა და პარკებში საჯდომების მიმდინარე შეკეთება-რეაბილიტაცია



(პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროსთვის სანაგვე ურნებისა და სკამების შეძენა-მონტაჟი.

2.3. საცხოვრებელი ბინების სადეზინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება როგორცაა სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

2.4. აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 07)

მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.

3. განათლება (პროგრამული კოდი 0400) .

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

3.1.1. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, სადაც სკოლამდელ აღზრდა-განათლებას მიიღებს 1900 ზე მეტი ბავშვი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს ბაღების სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურების და კვებითი მომსახურების ხარჯების სრულ დაფინანსებას და ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ხარჯს.

3.1.2. საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)

ხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია და ბაღების განტვირთვის მიზნით ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში ფიჭვნარში საბავშვო ბაღის მოწყობა, ქალაქ ქობულეთში გელაურში საბავშვო ბაღის მოწყობა, სოფელ ქობულეთში საბავშვო ბაღის მოწყობა, სოფელ ზენითში საბავშვო ბაღის მოწყობა. პროგრამით გარძელებულია საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის ყველა 2014 წლის გარდამავალი პროექტებიც.

3.2. საჯარო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამით გათვალისწინებულია ქობულეთის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება და ამ მიზნით მომსახურე სკოლის კუთვნილი ავტობუსის უზრუნველყოფა საწვავით.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.



4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2015 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- საფეხბურთო საკლუბო გუნდი „შუქურა“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- სარაგბო საკლუბო გუნდი „პონტო“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

4.1.1. ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ფეხბურთი (გოგონათა და ჭაბუკთა). წრეებში დაკავებულია 300 ზე მეტი ბავშვი, ტარდება შიდა სასკოლო და ამხანაგური შეხვედრები. წლის განმავლობაში სკოლის ჯგუფებში მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში წარმატებული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სასპორტო სკოლა მონაწილეობას ღებულობს საოლქო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონიძირებებში.

4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერაც.

4.1.3. სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

პროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში საფეხბურთო და სარაგბო კლუბების დაფინანსებას. კერძოდ საფეხბურთო საკლუბო გუნდი „შუქურას“ და სარაგბო კლუბი „პონტოს“ მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების დაფინანსებას, სპორტულ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებებით, აგრეთვე გუნდების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. ა(ა)იპ ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს 2015 წლის პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო სკოლის თანადაფინანსებას სადაც გაერთიანებულია სოფლების ხუცუბნისა და ბობოყვათის, დაბა ჩაქვისა და ქ. ქობულეთის სკოლები. სულ 570 მოსწავლეზე მეტი.

4.2.2. ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი რომელიც შესდგება საბიბლიოთეკო და მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, მასში გაერთიანებულია სასოფლო კულტურული დაწესებულებები, შესაბამისად განყოფილებებში ფუნქციონირებს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის, ლიტერატურულ-თეატრალური, რიტმული ცეკვების „ახალი რიტმები“ ჯგუფები და ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“. ახალგაზრდული ანსამბლი ახალი ხმები და სასოფლო კლუბებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, სადაც სულ გაერთიანებულია ორასამდე ახალგაზრდა. პროგრამა აფინანსებს კულტურის ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.



4.2.3. ა(ა)იპ ქობულეთის პარკი (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული პარკების მიმდინარე მოვლა-შენახვისა და საკურორტო ქალაქის იერსახის შენარჩუნების მიზნით დააფინანსებს ა(ა)იპ ქობულეთის პარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

4.2.4. ა(ა)იპ ქობულეთის გურამ თამაზაშვილის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული" (პროგრამული კოდი 05 02 04)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი სადაც ახალგაზრდა თაობებში კულტურული აღზრდისა და ეროვნული ცეკვების შენარჩუნების მიზნით მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ანსამბლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს.

4.2.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და მუნიციპალიტეტის სტუმრების და ინტერესების, სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები როგორცაა საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულები და სხვა. პროგრამით განხორციელდება ტურიზმის კვირეულისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები, მოხდება ტურისტული სარეკლამო მასალების-კერძოდ სარეკლამო ტურისტული ვიდეო რგოლის მომზადება, პროგრამით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებსა და პროექტებში შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის ხელშეწყობა, დამეგობრებულ ქალაქებს შორის ურთიერთობების გაღრმავება, ხელი შეეწყობა ცნობილი და შემოქმედი ადამიანების პოპულარიზაციას, შესაძლებელი გახდება გენდერული თანასწორობის დღის, შ.შ.მ. პირების უფლებათა დაცვის დღის და სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერა.

4.2.6. ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 08)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუზეუმი, რაც ემსახურება ქობულეთის როგორც საკურორტო და ისტორიული მნიშვნელობის ქალაქის განვითარებასა და პოპულარიზებას. მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები რომლებიც ადგილობრივი ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს, საგამოფენო დარბაზი წლის განმავლობაში მასპინძლობას უწევს არამარტო ადგილობრივ არამედ უცხოელ დამთვალიერებლებსაც, ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. სოციალური სფერო დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებებზე და პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფენ მის შემდგომ დახვეწას, რათა გაიზარდოს პროგრამების სიზუსტე და დახმარების ეფექტიანობა. ისევ იმოქმედებს პრინციპი, რომ მუნიციპალიტეტი დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო სასადილოში ცხელი საკვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას, მათთვის მატერიალური მხარდაჭერას და სტიმულის მიცემას, დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას.

5. ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება, მათ შორის, ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების როგორცაა ეპილეფსია.

5.1 .1. ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 0101)

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპილეფსიით და მეორადი ეპილეფსური სინდრომით დავადებული ბენეფიციარებისყოველდღიურად მისაღები სპეციფიკური



მედიკამენტებით დახმარებას. ეპილეფსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში ასევე მოზარდებში. დაავადების მიმდინარეობის ხელისშეშლაში ერთ-ერთი მთავარი პრინციპი შესაბამისი მედიკამენტების სისტემატური მიღებაა, რაც ხელს შეუშლის ბენეფიციართა დაინვალიდებას და შეამცირებს ავადობას.

5.1.2. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურეობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დიდი მანძილით დაშორებული სოფლების კერძოდ: დაბა ჩაქვის, ხალას, საჩინოს, ციხისძირის თემის, სოფელ ჩაისუბნის და სოფელ დაგვას (ნაწილობრივ) მოსახლეობისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენას. პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფას და პაციენტებამდე გადაადგილების უზრუნველყოფას, აგრეთვე ფუნქციონირებისათვის სხვა ყველა საჭირო ხარჯების ანაზღაურებას.

5.1.3. პირველადი ჯანდაცვის ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული სულ 12 ერთეული პირველადი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებას კომუნალური და გათბობის ხარჯებით. დაგეგმილია აღნიშნულ ამბულატორიებში მომსახურე ექიმთა სამედიცინო ჩანთების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით შევსება.

5.1.4. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 05)

პროგრამა ითვალისწინებს ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება, 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის თითოეულზე 500 ლარის ოდენობით, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის თითოეულზე 1500 ლარის ოდენობით.

5.1.5. ბრონქული ასთმით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 06)

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბრონქული ასთმით დაავადებული ბენეფიციარების მედიკამენტოზურ დახმარებას. ბრონქული ასთმის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში ასევე მოზარდებში. დაავადების მიმდინარეობის ხელისშეშლაში ერთ-ერთი მთავარი პრინციპი შესაბამისი მედიკამენტების სისტემატური მიღებაა, რაც ხელს შეუშლის ბენეფიციართა ავადობისა და დაინვალიდებას და შეამცირებს ავადობას. პროგრამით განხორციელდება 100 ბენეფიციარის წლის განმავლობაში ყოველთვიურად მისაღები სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

5.2. სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. სოციალური სფერო დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებებზე და პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფენ მის შემდგომ დახვეწას.

5.2.1. სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამით ისარგებლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სარეიტინგო ქულა 0-დან 100000-მდე ქულის მქონე, მარტოხელა პენსიონერი, დედ-მამით ობოლი ბავშვი, უსახლკარო, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოსახული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მარჩენალ დაკარგული და მრავალშვილიანი (18 წლამდე 5 და მეტი შვილი).

5.2.2. ყოველი მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)

მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას მესამე ახალშობილზე 500 ლარის ოდენობით, მეოთხე ახალშობილზე 700 ლარის ოდენობით, მეხუთე და მომდევნო ახალშობილზე 900 ლარის ოდენობით.

5.2.3. ხუთი და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური



დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 0602 03)

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, დემოგრაფიული პრობლემის ფონზე შეიმჩნევა, რომ აღნიშნული კატეგორიის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი ოჯახებია, პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით.

5.2.4. ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა უკდავყოფის მიზნით მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, ომის მონაწილის ოჯახზე დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, სადღესასწაულო დღეების აღნიშვნას. ამ მიზნით გათვალისწინებულია ომის მონაწილის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება 250 ლარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულზე 500 ლარის ოდენობით, ხოლო დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 200 ლარის ოდენობით, გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 27 სექტემბერთან დაკავშირებით თითოეულზე 300 ლარის ოდენობით დახმარება.

5.2.5. დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05)

პროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე) ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას თვეში 100 ლარის ოდენობით.

5.2.6. უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ გარდაცვლილთა ოჯახებზე, რომელთაც არ გააჩნიათ სახსრები მიცვალებულთა დაკრძალვისათვის და სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-70000 ქულის ჩათვლით. ასევე პროგრამა დააფინანსებს უპატრონო ან მარტოხელა გარდაცვლილ მოქალაქეებს. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თითოეულზე 250 ლარის ოდენობით.

5.2.7. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08)

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსაარგებლე ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირების შესაბამის კლინიკებში სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯებს საცხოვრებელი ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებამდე და სამედიცინო დაწესებულებიდან საცხოვრებელ ადგილამდე.

5.2.8. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 09)

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების, რომლებსაც სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-57000 მდე, გაზიფიცირებას, კერძოდ ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით.

5.2.9. ბავშვთა აბილიტაციის/რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 12)

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვთა აბილიტაციის/რებილიტაციის პროგრამით მოსაარგებლე ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირების შპს „უნიმედ აჭარას“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრში, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებების მქონე ბავშვებისათვის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის მატერიალურ დახმარებას. წელიწადში ერთ პაციენტს



და თანმხლებ პირს დაუფინანსდება არაუმეტეს ოთხი კურსისა.

5.2.10. ქ. ქობულეთში მცხოვრებ შინ მოვლის საჭიროების მქონე ბენეფიციართა დახმარებისა და მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 13)

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ (100 000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე) საწოლს მიჯაჭვულ პაციენტებს გაუწიოს სამედიცინო დახმარება (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია) და ყოველდღიურ საქმიანობაში მხარდაჭერა, უზრუნველყოს პაციენტისა და ახლობლის ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისის მომსახურება სახლის პირობებში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	18411482	16726966	1684516	35878200	34474942	1403258	33228256	33228256	0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	246	246	-	253	253	-	202	202	-
	ხარჯები	12,114,222	11,931,371	182,851	16,650,067	16,650,067	-	11,675,934	11,675,934	-
	შრომის ანაზღაურება	2,520,472	2,520,472	-	2,647,524	2,647,524	-	2,062,680	2,062,680	-
	საქონელი და მომსახურება	2,709,711	2,709,711	-	2,834,816	2,834,816	-	2,933,054	2,933,054	-
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	-	-	-	-	2,760	2,760	-
	მივლინება	6,374	6,374	-	18,675	18,675	-	16,900	16,900	-
	ოფისის ხარჯები	520,728	520,728	-	587,952	587,952	-	566,369	566,369	-
	წარმომადგენლობითი ხარჯები	9,119	9,119	-	5,000	5,000	-	13,000	13,000	-
	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები	26,890	26,890	-	5,850	5,850	-	-	-	-
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	200,690	200,690	-	205,870	205,870	-	139,600	139,600	-
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1,945,910	1,945,910	-	2,011,469	2,011,469	-	2,194,425	2,194,425	-
	პროცენტი	447,389	447,389	-	456,910	456,910	-	418,132	418,132	-



	სუბსიდიები	4,240,664	4,185,813	54,851	5,993,848	5,993,848	-	5,656,080	5,656,080	-
	გრანტები	66,532	66,532	-	37,640	37,640	-	-	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,752,839	1,624,839	128,000	3,183,693	3,183,693	-	506,036	506,036	-
	სხვა ხარჯები	376,615	376,615	-	1,495,636	1,495,636	-	99,952	99,952	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,023,256	4,521,591	1,501,665	18,634,963	17,231,705	1,403,258	20,920,374	20,920,374	-
	ვალდებულებების კლება	274,004	274,004	-	593,170	593,170	-	631,948	631,948	-
01. 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3,732,140	3,732,140	0	4,057,955	4,057,955	0	3,687,329	3,687,329	0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	185	185	-	192	192	-	192	192	-
	ხარჯები	3,422,523	3,422,523	-	3,444,865	3,444,865	-	3,043,981	3,043,981	-
	შრომის ანაზღაურება	1,979,562	1,979,562	-	2,056,757	2,056,757	-	1,919,320	1,919,320	-
	საქონელი და მომსახურება	420,071	420,071	-	489,037	489,037	-	606,749	606,749	-
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	-	-	-	-	2,760	2,760	-
	მივლინება	3,799	3,799	-	14,875	14,875	-	14,400	14,400	-
	ოფისის ხარჯები	175,795	175,795	-	208,022	208,022	-	158,399	158,399	-
	წარმომადგენლობითი ხარჯები	9,119	9,119	-	5,000	5,000	-	13,000	13,000	-
	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები	2,390	2,390	-	450	450	-	-	-	-
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	145,754	145,754	-	150,990	150,990	-	131,460	131,460	-
